სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 8 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- გორანოვა-კარაენევა ბულგარეთის წინააღმდეგ (განაცხადი №12739/05)

აპლიკანტი კოპრინკა პეტკოვა გორანოვა-კარაენევა ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1952 წელს და ცხოვრობს ქ. მონტანაში (ბულგარეთი). იგი მუშაობდა მონტანის რეგიონალურ საავადმყოფოში ნევროლოგად. მას პერიოდულად იწვევდნენ სასამართლოში ექსპერტად. განმცხადებლის საჩივარი ეხება მისი სატელეფონო საუბრის ჩაწერას 2001 წლის იანვარში, რომელიც დაკავშირებული იყო მის წინააღმდეგ ქრთამის აღების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის განხილვასთან. კერძოდ, მას ბრალი ედებოდა ფულის სანაცვლოდ მტკიცებულებათა გამყარება ყოფილი პაციენტის სამოქალაქო სარჩელის განხილვისას მონტანას საავადმყოფოს წინააღმდეგ. განმცხადებელი დამნაშავედ სცნო სასამართლომ 2003 წლის ნოემბერში და მიუსაჯა სამი წლით პატიმრობა, რაც შემდგომში გაასაჩივრა და შედეგად პატიმრობა გაუნახევრდა. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი და მე-13 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი, ხოლო არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, ხარჯების დასაფარავად სახელმწიფოს დაეკისრა 1 100 ევროს გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ.

- არგეს კოლეჯი იურიდიულ მრჩეველთათვის რუმინეთის წინააღმდეგ (განაცხადი №2162/05)

აპლიკანტი არის იურიდიულ მრჩეველთა გაერთიანება ქალაქ პიტეშტიდან (რუმინეთი), რომლის რეგისტრაციაზეც უარი განაცხადა ადგილობრივმა სასამართლომ 2004 წლის ოქტომბერში. კერძოდ, სასამართლოებმა რეგისტრაციაზე უარი განუცხადეს ასოციაციის სტატუტის გამო (სტატუტით გათვალისწინებული იყო ინდივიდების უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საჯარო თანამდებობის პირებთან მიმართებაში), რაც სასამართლოების მოსაზრებით რუმინეთის ადვოკატთა ასოციაციის უფლებამოსილების ფარგლებში მოიაზრებოდა და ქვეყნის კანონმდებლობით მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციას ჰქონდა მინიჭებული მსგავსი საქმიანობის უფლება. განმცხადებელთა აზრით, დარღვეულია კონვენციის მე-11 მუხლი, რადგან უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, აპლიკანტის მხრიდან მსგავსი მოთხოვნა არ დამდგარა. სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ კონვენციის მუხლის დარღვევის ფაქტის აღმოფხვრა შესაძლებელია იმგვარად, რომ აპლიკანტს უფლება მიეცეს რუმინეთის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, გამონაკლისის სახით მიიღოს სააპელაციო საჩივარი საქმის ხელახალი განხილვისათვის.

- ბერისტაინ უკარი ესპანეთის წინააღმდეგ (განაცხადი №40351/05)

აპლიკანტი არიც ბერისტაინ უკარი ესპანეთის მოქალაქეა, დაიბადა 1980 წელს და ცხოვრობს ჰერნანში (ესპანეთი). 2002 წელს ის დააპატიმრეს სან-სებასტიანში რადგან ეჭვმიტანილი იყო, როგორც ქალაქში მომხდარი სასტიკი შეტაკების მონაწილე. განმცხადებელი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან დაკავებისას მას დამაცირებლად და არაადამიანურად მოეპყრნენ პოლიციის თანამაშრომლები როცა ის ხუთი დღის განმავლობაში იმყოფებოდა სან-სებასტიანისა და მადრიდის ციხეებში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კუთხით, ხოლო დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლი გამოძიების არაეფექტურად ჩატარების გამო. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, სახელმწიფოს დაეკისრა 20 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 3 000 ვერო – ხარჯების დასაფარავად.

<u>ანალოგი საქმეები</u>

- დელვინა ალბანეთის წინააღმდეგ (განაცხადი №49106/06)
- ელტარი ალბანეთის წინააღმდეგ (განაცხადი №16530/06)

ეს საქმეები ეხება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, რომელიც აპლიკანტების სასარგებლოდ მიიღეს. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, მე-13 მუხლი და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

ორივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის, მე-13 მუხლისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის დარღვევა.

- ემიროღლუ თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №40795/05)

საქმე ეხება აპლიკანტის საჩივარს იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მოხდა მისი საკუთრების ექსპროპრიაცია ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი იქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დარღვეულია პირველი დამატებითი იქმის I მუხლი.

- კიზიროღლუ თურქეთის წინააღმდეგ (განაცხადი №52154/07)

საქმე ეხება საზღვაო კაპიტნის საჩივარს, რომლის მიხედვითაც მას არ მიეცა ხელმისაწვდომობის უფლება საიდუმლო დოკუმენტებზე, რომლებიც წარმოდგენილი იყო თავდაცვის სამინისტროს მიერ უზენაესი სამხედრო ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე, სადაც ის ასაჩივრებდა მისი

სხვა თანამდებობაზე დანიშვნის გაუქმებას. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

<u>**გაჭიანურებული საქმეები**</u>

- ჟივალიევიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ (განაცხადი №17229/04)

აღნიშნულ საქმეზე განმცხადებელი ჩივის, რომ გაჭიანურდა მისი ადმინისტრაციული საქმის განხილვა, რომელიც ეხებოდა მისი სახლისა და მიწის ექსპროპრიაციას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.